ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიულ ფაკულტეტსა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შორის
პრაქტიკული სასწავლო პროგრამის (კლინიკის) ფარგლებში
თანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი 26.02.2015

ერთი მხრივ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (შემდგომში – იურიდიული ფაკულტეტი), წარმოდგენილი დეკანის, ირაკლი ბურდულის სახით და, მეორე მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), წარმოდგენილი თავმჯდომარის, ლევან რაზმაძის სახით (შემდგომში ორივე ერთად წოდებული – მხარეები), აღიარებენ პრაქტიკული განათლების მნიშვნელობას იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა პროფესიული დაოსტატებისა და განვითარების საქმეში და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მიზანი

1.1 იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდეს პრაქტიკული სასწავლო კურსი (კლინიკა) მაგისტრატურის სტუდენტებისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით;

1.2 პრაქტიკული სასწავლო კურსი (კლინიკა) განხორციელდეს იურიდიული ფაკულტეტის გარეთ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში;

1.3 კლინიკის ხანგრძლივობა განისაზღვროს ერთი აკადემიური სემესტრით.

მუხლი 2. იურიდიული ფაკულტეტის ვალდებულებები

იურიდიული ფაკულტეტი ვალდებულია:

2.1 მიაწოდოს სააგენტოს კლინიკის გავლის მსურველ სტუდენტთა განაცხადები და სია (არაუმეტეს ოთხი სტუდენტისა);

2.2 ითანამშრომლოს სააგენტოსთან მაგისტრანტებთან მუშაობის პროცესში;

2.3 ხელი შეუწყოს და კოორდინაცია გაუწიოს სტუდენტების შერჩევის პროცესს, მონაწილეობა მიიღოს სტუდენტთა შეფასების სისტემის შემუშავებაში;

2.4 მიანიჭოს აკადემიური კრედიტი სტუდენტებს, რომელნიც წარმატებით დაასრულებენ კლინიკას;

2.5 კლინიკაში საქმიანობის დასრულების შემდგომ, ხელი შეუწყოს სააგენტოსთან თანამშრომლობის გაგრძელებას სასწავლო პროგრამის ფარგლებში.

მუხლი 3. სააგენტოს ვალდებულებები

სააგენტო ვალდებულია:

3.1 უზრუნველყოს იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტთათვის სათანადო პრაქტიკული უნარების განვითარება და მათი სააგენტოს საქმიანობაში მაქსიმალური ჩართვა;

3.2 მონაწილეობა მიიღოს სტუდენტების შერჩევის მიზნით ჩატარებულ გასაუბრებაში;

3.3 სემესტრის დასაწყისში წარმოადგინოს კლინიკის სილაბუსი;
3.4 ზედამხედველობა გაუწიოს სტუდენტების გუნდურ და ინდივიდუალურ მუშაობას;
3.5 განახორციელოს სტუდენტთა საბოლოო სემესტრული შეფასება.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა
4.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ერთი აკადემიური სემესტრის განმავლობაში, 2015 წლის ზაფხულის ჩათვლით;
4.2. მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ მემორანდუმი;
4.3. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. №3
0179 ქ. თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 2 29 08 41
ფაქსი: (+995 32) 2 22 37 10
ელ. ფოსტა: law@tsu.ge
ვებგვერდი: www.tsu.ge

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

მის.: რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №8
0113 ქ. თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 2 242 248

ელ. ფოსტა: info@procurement.gov.ge
ვებგვერდი: www.procurement.gov.ge

იურიდიული ფაკულტეტის
დეკანი

ირაკლი ბურდული

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარე

ლევან რუხმაძე